

Iura novit arbiter საერთაშორისო დავებში: როგორ ავიცილოთ თავიდან განუჭვრეტადი სამართლებრივი დასკვნები

აბსტრაქტი

თუ ოდესმე გლობალიზებული სამყარო არსებობდა, იგი, სწორედ, ჩვენს თვალწინ არის! ამ მეტად ურთიერთდამოკიდებულ და დაჩქარებულ სამყაროში, კომპანიებისა და ბიზნესმენების მთავარი მიზანი საკუთარი საქმიანობის გაგრძელებაა.

ასეთ კონტექსტში, სადაც „ბიზნესი ჩვეულებისამებრ“ მმართველ პოზიციაშია, არბიტრაჟი დავის მოგვარების სულ უფრო და უფრო ნაკლებად ტრადიციულ გზად, ხოლო შემდეგ კი - იდეალურ კომფორტულ ნეიტრალურ ოთახად ისახება მოთამაშეებისათვის სხვადასხვა ქვეყნებიდან და განსხვავებული წარსულით.

მიუხედავად ამისა, მისი მიმზიდველი კერძო ხასიათის პროცესი უნდა შეერწყას სამართლებრივ ფუნქციებს, რომლებიც არბიტრებმა უნდა განახორციელონ ნებისმიერ შემთხვევაში.

ბალანსი ამ ორ ფაქტორს შორის (კერძოდ, საარბიტრაჟო პროცესის არსებითად კერძო ხასიათი და არბიტრების იურისდიქციული როლი) გამოიწვევს მხარეთა მიერ გაკეთებული არჩევანის პოზიტიურ თუ ნეგატიურ შედეგებს.

ამ მიზეზების გამო, მათ უნდა გამოიმუშაონ ყველა აუცილებელი უნარი იმისთვის, რომ იურისტების ძვირი მხარდაჭერით, შექმნან ღირებული პროდუქტი.

ეს მოკლე ნაშრომი მიზნად ისახავს გამოყოს *iura novit curia*-ს პრინციპის მნიშვნელობა თანამედროვე საერთაშორისო არბიტრაჟში, რადგანაც გამოსაყენებელი სამართლის არჩევა, ასევე მისი შინაარსის დადგენა, არის ორი ყველაზე რთული ამოცანა არბიტრთათვის, რათა გასწიონ დამაკმაყოფილებელი მომსახურება.

I. შესავალი

Iura novit curia პრინციპი სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „მოსამართლემ იცის სამართალი“.²

რა თქმა უნდა, ეს კონცეფცია განვითარდა სხვა და უფრო ძველი წესიდან, რომლის მიხედვითაც მოსამართლემ *ex officio* უნდა გამოიყენოს კანონი: *da mihi facta dabo tibi ius*.³

quinobis მიხედვით, გამონათქვამი *iura novit curia* შემთხვევით ჩაისახა გალიაში, როდესაც მოსამართლე დაიღალა ადვოკატთა ხანგრძლივი იურიდიული დისკუსიით და წამოიძახა: *"venite ad factum, curia novit ius!"*.⁴

თანამედროვე პროცესუალურ კონტექსტში, გამოთქმა *iura novit curia* საყოველთაოდ აღიარებულია *lex fori*-სთან მიმართებით.

¹ სამოქალაქო სამართლის იურისტი იტალიაში. იგი მუშაობდა ევროპულ კომისიისა და რამდენიმე ამერიკული, ევროპული და აფრიკული არასამთავრობო ორგანიზაციის იურიდიული მრჩევლად. იგი სწავლობდა სამართალს პავიას უნივერსიტეტში და მიიღო მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო თანამშრომლობაში საერთაშორისო პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტში (ISPI), მილანში.

² როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, „ამ ფორმულას დიდი აზრი აქვს, როდესაც იგი ეხება შიდა კანონმდებლობას. ეს შეიძლება ნაკლებად იყოს აშკარა, როდესაც ფორმულა ეხება უცხოურ სამართალს. ეს ძალიან მგრძობიარე საკითხია საერთაშორისო არბიტრისთვის, რომელსაც *lex fori* არ გააჩნია“; *Rubino Sammartano, M., International Arbitration Law and Practice, third edition, 2014, 684.*

³ რაც შეიძლება პერფერაზირდეს, როგორც „მომეცი ფაქტები [მომთხოვე (ლიტ. თარგმანი)] და მოგცემ სამართალს“, ავტორის თარგმანით.

⁴ *Melendo, S. S., El Juez y el Derecho, Ediciones Jurídicas Europa-América, Buenos Aires, 1957.* მიუხედავად ამის, ეს ავტორი იძლევა გაფრთხილებას მოსამართლეზე, რომელიც ადვოკატებს აწყვეტინებს: ეს შეიძლება ფანტაზიის გარდა არაფერი იყოს, რადგან იურიდიული პრინციპები არ დაბადებულა წამში, არამედ ისინი წელი გააზრების შედეგია.

იურისტ-მეცნიერთა მიხედვით,⁵ დღესდღეობით, მოსამართლე უნდა იყოს ერუდირებული, რადგან მისი მოვალეობა, იცოდეს კანონი და ეს განუყოფელია დავის გადაწყვეტის ფუნქციისაგან.

დისკუსიის თემა აუცილებლად გადაინაცვლებს *novisse-noscere* ღერძზე, კერძოდ კი, კითხვაზე - უნდა იცოდეს თუ არა მოსამართლემ ყოველთვის კანონი ან შედის თუ არა მის მოვალეობაში ამ ცოდნის მიღება?

ეფექტიან კანონ-გამოყენებით პრაქტიკაში ეს კითხვა ჩნდება ყოველ ჯერზე, როდესაც მოსამართლე აღმოაჩენს, რომ საქმე აქვს მისთვის უცნობ ნორმათა ერთობლიობასთან - ეს არცთუ იშვიათი შემთხვევაა.

ამ დროს სამართლის განმმართველმა, ისტორიკოსის მსგავსად, უნდა გამოიყენოს ყველა ხელმისაწვდომი საშუალება კანონის შინაარსის დასადგენად.⁶

რა თქმა უნდა, ყველა სამართლის სისტემა თავისებურად აწესრიგებს მოსამართლის მიერ დავის გადაწყვეტ იმ წესთა ერთობლიობის თაობაზე ცოდნის შეძენის საშუალებებს.

მიუხედავად ამისა, შიდა კანონმდებლობის მიმართ *iura novit curia*-ს მივყავართ დასკვნამდე, რომ მოსამართლე თავისუფალია და უნდა შეეცადოს კანონის შინაარსის დადგენას, მაშინაც კი, თუ მას არ გააჩნია დავის გადასაწყვეტად საჭირო შესაბამისი წესების კონკრეტული შემეცნება.

II. სამოქალაქო (ცივილური) სამართალი და საერთო სამართალი: ორი განსხვავებული მიდგომა უცხოური სამართლის მიმართ

სიტუაცია მეტად ჰეტეროგენურია, თუ დავა მოიცავს სხვა სამართლებრივ სისტემასთან დამაკავშირებელი რაიმე ფაქტორს და, ე.წ. საკოლიზიო სამართლის წესების გამო, ვიღებთ უცხოური კანონმდებლობის გამოყენების აუცილებლობას.⁷

მართლაც, იმის გამო, რომ სამართლებრივი სისტემები, რომლებიც, ტრადიციულად, განსხვავებულ მიდგომებს იყენებენ, მაგალითად, სამოქალაქო სამართლისა და საერთო სამართლის ქვეყნები, როგორც წესი, სხვადასხვაგვარად პასუხობენ კითხვებზე, შეუძლია მოსამართლეს ან ვალდებული არის თუ არა იგი, განსაზღვროს შინაარსი და *ex officio* გამოიყენოს უცხოური სამართალი.

სამოქალაქო სამართლის სისტემის მიხედვით, სასამართლოებს გააჩნია უფლებამოსილება, განსაზღვრონ უცხო ქვეყნის წესთა ერთობლიობის შინაარსი და გამოიყენონ იგი *motu proprio*, მიუხედავად მხარეთა ინიციატივისა; საერთო სამართლის ტრადიციის ფარგლებში კი, საჭიროა მხარეთა მიერ პირველი ნაბიჯის გადადგმა და, ამდენად, მათ მოუწევთ, აგრეთვე, უცხოური სამართლის შინაარსის თაობაზე მტკიცებულებათა წარდგენა, ზუსტად ისევე, როგორც უნდა ამტკიცონ ფაქტი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამოქალაქო სამართლის ტრადიციით მიიჩნევა, რომ საკოლიზიო სამართლის წესები, რომლებიც მიუთითებს უცხო ქვეყნის რეგულაციებზე, შესაძლებელია, ინტეგრირებულ იქნას ადგილობრივი სამართლის სისტემაში; ამის ნაცვლად, მეორე მხრივ, საერთო სამართლის ტრადიციით, უცხოური სამართლის იდენტიფიცირება განიხილება როგორც უბრალოდ *quaestio facti*.⁸

⁵ Franchi, G., La Perizia Civile, Padova, 1959, 107.

⁶ Calamandrei, P., Il giudice e lo storico, Studi sul processo civile, 33. ამ ავტორის მიხედვით, *iura novit curia* პრინციპი არა მარტო იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე, როგორც საჯარო მოხელე, ვალდებულია, იცოდეს კანონი, მაშინაც კი, თუ მხარეები არ აქცევენ მას ყურადღებას ან არასწორად აღიქვამენ, არამედ ისიც, რომ მას აქვს, ნებისმიერი მოქალაქის მსგავსად, სამართალწარმოების ფარგლებს მიღმა კი, უფლებამოსილება გამოიყენოს კვლევის ყველა საშუალება, რომელსაც მეცნიერმა შეიძლება, მიმართოს მოქმედი კანონის თაობაზე ცოდნის მისაღებად.

⁷ Wiśniewski, C., Zielińska, A., Who should Know the Law: The Arbitrators or the Parties? Kluwer Arbitration Blog, 3 October 2016.

⁸ Mosconi, F., Campiglio, C., Diritto Internazionale Privato, 2006, Utet Giuridica, 173.

მართლაც, მოკლე შედარებითი ანალიზის მეშვეობით, ადვილად დგინდება, რომ მაგალითად, გერმანიაში, როგორც სამართლებრივ ლიტერატურაში, ისე პრეცედენტულ სამართალში თანხმდებიან უცხოური სამართლის მიჩნევაზე *quaestio iuris*-ად: გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლი⁹ გულისხმობს *iura novit curia*-ს პრინციპის სრულ გამოყენებას და, შესაბამისად, სასამართლოს ვალდებულებას, დაადგინოს უცხოური სამართლის შინაარსი *sua sponte*.

გამოსაყენებელი უცხოური სამართლის „მოქმედ სამართლად“¹⁰ შეფასების მიზნისათვის, გერმანიის [სამოქალაქო საპროცესო] კოდექსის 293-ე მუხლით, უცხოურ სამართალი და უბრალო ფაქტები აშკარად განსხვავდება.

შვეიცარიაში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-16 მუხლი ცხადყოფს, რომ *iura novit curia* პრინციპი სრულად გამოსაყენებელია.¹¹

იტალიაში, უცხოური სამართლის მიმართ, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის¹² მე-14 მუხლით, *iura novit curia*-ს პრინციპი მოქმედია; შესაბამისად, სასამართლოები ვალდებულია, გამოკვეთონ და გამოიყენონ შესაბამისი უცხოური წესი ზუსტად ისე, როგორც ეროვნული ნორმა და ამიტომაც იგი არ კარგავს საკუთარ ბუნებას როგორც სამართლის საკითხი.¹³

საერთო სამართლის ტრადიციის ფარგლებში სიტუაცია შებრუნებულია და უცხოური სამართალი არის მხარეთა მიერ დასადასტურებელი ფაქტის საკითხი.¹⁴ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *iura novit curia* არ მოიცავს უცხო ქვეყნის სამართალს¹⁵ და თუ ერთ-ერთი მხარე თავის პოზიციას უცხოურ წესთა ერთობლიობაზე ამყარებს, მას, ასევე ეკისრება მტკიცების ტვირთი ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ფაქტის დადგენის მიმართ.¹⁶

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საერთო სამართლის ტრადიციებში უცხოური სამართალი უფრო სასამართლოს შეფასების საგნად განიხილება, ვიდრე სამართლის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი მიჩნეულია ფაქტად, რომლის დადგენა აუცილებელია მხოლოდ კონკრეტული დავის გადასაწყვეტად კონკრეტულ მოდავე მხარეებს შორის.¹⁷

III. *Iura novit curia*-დან *iura novit arbiter*-მდე

ამ მოკლე ნაშრომის არესზე რომ გადავიდეთ, დასმული კითხვაა: შეუძლია თუ არა *iura novit curia*-ს, შეასრულოს თავისი როლი საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო

⁹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (ZPO) 293-ე მუხლის მიხედვით „სხვა სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობა, ჩვეულებითი სამართალი და სხვა დებულებები უნდა დადასტურდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სასამართლოსათვის მათ შესახებ უცნობია. ამ წესების შესახებ გამოკითხვის წარმოებისას სასამართლო არ არის შეზღუდული მხარეთა მიერ დამხმარე დოკუმენტების სახით წარმოდგენილი მტკიცებულებებით; მას აქვს სამართლებრივი ინფორმაციის წყაროებიც ისევე, როგორც მათი გამოყენებისათვის საჭირო ბრძანებებისგამოცემის უფლებამოსილება“.

¹⁰ სიტყვა-სიტყვით: *rechtsnormen*.

¹¹ შვეიცარიის საერთაშორისო კერძო სამართლის მე-16 მუხლის მიხედვით, „უცხოური კანონმდებლობის შინაარსი უნდა დადგინდეს საკუთარი ინიციატივით. ამ მიზნით, შეიძლება საჭირო გახდეს მხარეთა თანამშრომლობა. ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით, უცხოური სამართლის დადგენის საქმე შეიძლება გადაეცეს მხარეებს.“ იხ., ასევე *Bryant, A. C.*, *Foreign Law as Legislative Fact in Constitutional Cases*, *BYU L. Rev.* 1005 2011.

¹² Law No. 218 of 31 May 1995.

¹³ *Mosconi, F., Campiglio, C.*, დასახ. წყარო, მე-7 სქ., 174.

¹⁴ *Waincymer, J.*, *International Arbitration and the Duty to Know the Law*, *Journal of International Arbitration*, 2011, vol. 28, issue 3.

¹⁵ *De Ly, F., Friedman, M. W., Di Brozolo, L. G. R.*, *Ascertaining the Contents of the Applicable Law in International Commercial Arbitration*, *International Law Association, Committee on International Commercial Arbitration, Report for the Biennial Conference in Rio de Janeiro, 2008*, 17, ხელმისაწვდომია *Arbitration International*, vol. 26, issue 2, 1 June 2010.

¹⁶ ამ წესის ისტორიული მიმოხილვისათვის იხ. *Sommerich, O. C., Busch, B.*, *The Expert Witness and the Proof of Foreign Law*, 38 *Cornell L.Q.* 125, (1953), 127-128.

¹⁷ *Rotem, Y.*, *Foreign law as a distinctive fact – To Whom Should the Burden of Proof be Assigned*, *Chicago Journal of International Law*, 2014, vol. 14, No. 2, article 8, 629. იხ., ასევე *Born, G.*, *International Commercial Arbitration – Commentary and Materials*, New York, 2006.

სცენარის ფარგლებში? და თუ ეს ასეა, რა შეიძლება იყოს *iura novit arbiter*-ს გამოყენების ფარგლები?

პირველ რიგში, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ კანონის არსი არბიტრისათვის შეიძლება, ძალიან განსხვავდებოდეს იმისაგან, რაც არის იგი მოსამართლისათვის¹⁸: ეროვნული სამართლის წესები გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის შესახებ შეიძლება არ იყოს გამოსადეგი საერთაშორისო არბიტრაჟისათვის და ეს დასკვნა გამომდინარეობს არბიტრების პოზიციის განსხვავებებიდან მოსამართლეთა პოზიციებისაგან.¹⁹

უპირველეს ყოვლისა, არბიტრის მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არის ნამდვილი *iudex privatus*, გამომდინარეობს მიღწეული კონკრეტული კონსენსუსიდან მხარეებს შორის, რომლებმაც გადაწყვიტეს გადაეცათ (მომავალი) დავა არბიტრაჟისათვის და არა ეროვნული სასამართლოებისათვის.²⁰

უფრო მეტიც, (საერთაშორისო კომერციული) არბიტრაჟის ბუნება ხაზს უსვამს მხარეთა ავტონომიას; მეორე მხრივ, საარბიტრაჟო დათქმა შეიძლება, განისაზღვროს როგორც ხელშეკრულება ხელშეკრულებაში და, რა თქმა უნდა, აქ არ არის აუცილებელი მხარეების სახელშეკრულებო ავტონომიის ხსენება.²¹

ამ ფართო ავტონომიის გამო, მხარეები ასევე თავისუფალნი არიან, აირჩიონ იმავე ხელშეკრულებისადმი გამოსაყენებელი სამართალი.

თუმცა, რა ხდება მაშინ, თუ მხარეები არ აპირებენ ან დაავიწყდებათ არჩევანის გაკეთება (არცთუ იშვიათი შემთხვევა)?

მათი მოსაზრება, ვინც გამოირჩება *iura novit curia*-ს რელევანტურობა საერთაშორისო არბიტრაჟში²², ნაკლებადაა მხარდაჭერილი დღესდღეობით. ორივე, იურიდიული მეცნიერებაც და სასამართლო პრაქტიკაც იხრება საერთაშორისო არბიტრაჟის კონტექსტშიც ამ პრინციპის რელევანტურობისაკენ.

მეორეც, ეროვნულ სასამართლოებს აქვთ ზუსტი ნორმები გამოსაყენებელ წესთა ერთობლიობის იდენტიფიცირებისა და მისი შინაარსის დადგენისათვის; მოსამართლე შებოჭილია საკუთარი [ქვეყნის] საერთაშორისო კერძო სამართლის სისტემით, მხარეთა მიერ არჩევანისას ან ასეთი არჩევანის არარსებობის შემთხვევაშიც.

პირიქით, საერთაშორისო არბიტრაჟის სფეროში, ხშირ შემთხვევაში, არბიტრებს, სხვადასხვა ქვეყნის სამართალთა კონკურენციის პირობებში, აქვთ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის ამოცანა. გარდა ამისა, საერთაშორისო არბიტრებს, ხშირად, უწევთ გამოიყენონ სამართალი, რომელიც უცხოა მათი პროფესიული კვალიფიკაციისა და ჩვეულებრივი პრაქტიკისაგან.²³

¹⁸ Mayer, P., Reflections on the International Arbitrator's Duty to Apply the Law, LCIA Arbitration International, 2001, vol. 17, No. 3, 236.

¹⁹De Ly, F., Friedman, M. W., Di Brozolo, L. G. R., დასახ. ნაშრომი, მე-14 სქ.

²⁰საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არბიტრაჟს აქვს მნიშვნელოვანი დადებითი მხარეები, როგორებიცაა, მაგალითად, სისწრაფე, მოქნილობა, ფართო ავტონომია, კონფიდენციალურობა.

²¹ხელშეკრულების და მხარეთა ავტონომიის პატივისცემის შესახებ იხ. *Borroni, A.*, Neo-Contractualism and Comparative Law, published for the Essays in Honor of Saul Litvinoff's, ed. Moreteau, Romanach, Zuppi, 2008, 431. ავტორის აზრით, უკვე „კლასიკური ხელშეკრულების თეორია შეიქმნა ნების თეორიის ირგვლივ, რომელმაც დაადგინა, რომ ხელშეკრულება არის ხელშეკრული მხარეების ნების გამოხატულება და, ამ მიზეზით, მას პატივი უნდა სცენ და იგი უნდა აღსრულდეს“; ისევე, როგორც საქმიანი ურთიერთობების მოდელების ევოლუციის შემდგომ, ხელშეკრულების ნეოკლასიკური თეორიითაც, მხარეებს შორის შეთანხმება იმსახურებს იმავე პატივისცემას.

²²იხ. *Derains, Y.*, Observations, Revue de l'arbitrage, 1998, 711: "l'adage iura novit curia n'a pas de place en matière d'arbitrage et surtout en matière d'arbitrage international".

²³ „როდესაც ვიხსენებ საქმეებს, რომლებშიც მე ვიყავი ჩართული როგორც არბიტრი და, რა თქმა უნდა, ზოგიერთი მათგანი დამავიწყდა კიდევ, ვხვდები, რომ გადავწყვიტე დავები გერმანული, ფრანგული, პოლონური, უნგრული, პორტუგალიური, ბერძნული, თურქული, ლიბანური, ეგვიპტური, ტუნისური, მაროკოული, სუდანური, ლიბერიული, კორეული, ტაილანდური, არგენტინული, კოლუმბიური, ვენესუელური, ილინოისის, ნიუ იორკის ... და შვეიცარიული სამართალით. ვიცი მე ეს მართლწესრიგები?

შესაძლებელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ არბიტრები ასევე შებოჭილი არიან მხარეთა მიერ სამართლის არჩევანის შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლის დადგენასთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამისა, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მათ წინაშეა გამოსაყენებელი სამართლის შესახებ შეთანხმება, არბიტრები ყოველთვის ინარჩუნებენ გარკვეული ხარისხის თავისუფლებას ამ დათქმის ნამდვილობის შესაფასებლად.²⁴

მესამე, არბიტრებს არ გააჩნიათ *lex fori* (სულ ცოტა მატერიალური სამართალი) და ეს იწვევს ალტერნატიულ გადაწყვეტებს, როცა გამოსაყენებელი სამართლის შინაარსი არ არის ადვილად განსაზღვრადი.²⁵

IV. არბიტრაჟი როგორც საერთაშორისო იურისდიქცია

საერთაშორისო არბიტრაჟში არ არსებობს რეალური კომპეტენტური ფორუმის აღიარებისათვის სივრცე და, მართლაც, ის უნდა ჩაითვალოს შიდა სამართლებრივ ინსტრუმენტად. ამ პირობას აქვს დაუყოვნებლივი შედეგი: ის გულისხმობს ეროვნული კანონმდებლობის იდენტიფიცირების შეუძლებლობას, რომელსაც ძალუმს გამორიცხოს ყველა სხვა, რაც უნდა განისაზღვროს უცხოური კანონებით, როგორც ეს ხდება ჩვეულებრივი იურისდიქციის ფარგლებში.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ, საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, არ არსებობს არბიტრების მხოლოდ *lex fori*, მოსამართლისგან განსხვავებით. შესაბამისად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მხარეებს არ უშლის ხელს ის, რომ საარბიტრაჟო დავა დარეგულირდეს ნაწილობრივ განსაზღვრული საპროცესო სამართლით და ნაწილობრივ, - სხვა საპროცესო სამართლით.²⁶

არბიტრმა ბატონმა ფიტონმა, ერთი მხრივ, მიიჩნია, რომ გამოსაყენებელი იყო მხარეთა მიერ შეთანხმებული საპროცესო სამართალი და, მეორე მხრივ, გამოიყენა შვეიცარიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, როგორც "*loi du lieu du siège de l'arbitrage*" (არბიტრაჟის ადგილსამყოფელი სამართალი).²⁷

ამგვარი ეროვნული პროცედურული წესების სიმრავლე, თავისთავად, უნდა აძლევდეს არბიტრაჟს საერთაშორისო ხასიათს, სახელდობრ, საპროცესო თვალსაზრისით; და არბიტრაჟის საერთაშორისო ხასიათი შენარჩუნებულია *a fortiori*, თუ მხარეებს არ აურჩევიათ რაიმე კონკრეტული პროცედურული სისტემა, მაგრამ შემოიფარგლნენ გამოსაყენებლად საარბიტრაჟო წესების არჩევით.

გარდა ნიუ-იორკის სამართლისა, რომელიც ვისწავლე მრავალი წლის წინ და, არ მოვიკატუნებ თავს, რომ ახლაც მახსოვს და შვეიცარული სამართლისა, რომელშიც ვახორციელებ პრაქტიკას, მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად, როგორც ხედავთ, პასუხი აშკარად არის - არა. თუმცა, როგორ ვიყენებდი ჩემთვის უცნობ სამართალს? მისი იგნორირებით? ფაქტებზე ფოკუსირებით სამართლიანად და სრულად? როგორ გავხდი მე სამართალში განსწავლული? როგორ მასწავლა ადვოკატმა?“, *Kaufmann-Kohler, G., The Arbitrator and the Law: Does he/she Know it? Apply it? How? And a Few More Questions, Arbitration International, 2005, vol. 21, No. 4, 631.*

²⁴საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომია, მიუხედავად იმისა, რომ ნიუ-იორკის კონვენციაში არ გაწერილა, ახლა თითქმის საყოველთაოდ აღიარებულია საერთაშორისო არბიტრაჟში. იხ., მაგალითად, გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNICTRAL) მოდელური კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტი: „საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია, განსაჯოს საკუთარი იურისდიქცია, მათ შორის, ნებისმიერი საჩივარი საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობასა თუ ნამდვილობასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება როგორც ხელშეკრულების სხვა პირობებისგან დამოუკიდებელი შეთანხმება. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რომ ხელშეკრულება ბათილია, *ipso iure* არ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობას“.

²⁵ *De Ly, F., Friedman, M. W., Di Brozolo, L. G. R.*, დასახ. ნაშრომი მე-14 სქ.

²⁶ *Rubino Sammartano, M., L'arbitrato Internazionale, 1989, 70.*

²⁷ *Asling Trading Co. v. Gracia, 1954; ნახსენებია, ასევე საქმეში B.P. Exploration Company (Libia) v. Government of the Arabic Republic of Libya, Copenhagen 10.10.1973, Revue de l'Arbitrage, 1980, 119.*

საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) წესებსა და ეროვნული საპროცესო კანონმდებლობასთან კავშირის არარსებობა დადასტურდა იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში, სადაც საარბიტრაჟო კოლეგიას თავმჯდომარეობდა ბატონი ჯ. დე არჩაგა, რომელმაც უპასუხა საპროცესო კანონმდებლობასთან წესების შეუსაბამობის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობას პირველისათვის უპირატესობის მინიჭებით. მან მიუთითა, რომ ბრაზილიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგიერთ წესსა და ICC-ის წესებს შორის გარკვეული პროცედურული საკითხების თაობაზე შეუსაბამობის არსებობის ფონზე, ბრაზილიური ნორმები განკუთვნილი იყო მხოლოდ შიდა არბიტრაჟებისათვის.²⁸

კანონმდებლები, სხვადასხვა დროს, საერთაშორისო არბიტრაჟის ამგვარი ხასიათით იბოჭებოდნენ.²⁹

1985 წელს ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა³⁰, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ არის რა შებოჭილი კონკრეტული ეროვნული საპროცესო სამართლის გამოყენების მოვალეობით, არ გააჩნია ვალდებულება, გაამართლოს საკუთარი წესების გამოყენება.

არბიტრაჟის შესახებ კანონმდებლობის ნაწილებით არ კონკრეტდება, თუ როგორ უნდა განსაზღვრონ არბიტრებმა გამოსაყენებელი სამართლის შინაარსი, მაგრამ არსებობს გარკვეული გამონაკლისები ამ საკანონმდებლო დუმილიდან.

ერთ-ერთი მათგანი წარმოდგენილია ნიდერლანდების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1044-ე მუხლით,³¹ რომელიც ითვალისწინებს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ უცხოურ სამართალზე ინფორმაციის შესახებ 1968 წლის ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უცხოური კანონის დადგენის მექანიზმების გამოყენებას.

კიდევ ერთი მათგანია დანიის საარბიტრაჟო აქტის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი³² და მესამეა - ინგლისის 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-2 ზ) ქვეპუნქტი.³³

²⁸ICC-ის საქმეში №4695/84 (Yearbook Commercial Arbitration, 1986, 149), საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაწერა, რომ „ICC-ის წესების კონკრეტული და მკაფიო არჩევანი პროცედურული საკითხებისა, რომლებიც ეხება საარბიტრაჟო ტრიბუნალის შემადგენლობას და საქმის წარმოების დაწყებას, უცილობლად, გამორიცხავს, საერთაშორისო კომერციულ შეთანხმებასთან დაკავშირებით, ბრაზილიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1073-ე და 1074-ე მუხლების პროცედურული მოთხოვნების გამოყენებას, რომლებიც არ შეესაბამება ICC-ის წესებს და, ამკარად, შექმნილია მხოლოდ წმინდა ბრაზილიური ან შიდა არბიტრაჟების მიერ გამოსაყენებლად“.

²⁹ Von Mehren, A. T., International Commercial Arbitration and the Conflict of Laws, The American Review of International Arbitration, 1992, vol. 3, 60. გარდა ამისა, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი, სულ უფრო მეტად, გამოირჩევა თავისი დამოუკიდებლობით ყველა ეროვნული სამართლებრივი სისტემისაგან. შედეგად, წარმოიშვა ცალკე დისციპლინა “selon une démarche caractéristique de la représentation de l'arbitrage admettant l'existence d'un ordre arbitral autonome“. იხ. Gaillard, E., Aspects Philosophiques du Droit de l'arbitrage International, Recueil des Cours, 2008.

³⁰ საქმეში - Mitsubishi Motors Corporation (Japan) v. Soler Chrysler-Plymouth Inc. (U.S.), U.S. Supreme Court, 2 July 1985, (Yearbook Commercial Arbitration, 1986, vol. 11, 555): „საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალი ვალდებულია არ არის მიემხროს კონკრეტული ქვეყნების სამართლებრივი ნორმების გამოყენებას; აქედან გამომდინარე, მას არ გააჩნია პირდაპირი ვალდებულება, გაამართლოს თავისივე წესების გამოყენების აუცილებლობა“.

³¹ნიდერლანდების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1044-ე მუხლით, „მოთხოვნა უცხოეთის კანონმდებლობის შესახებ: 1. საარბიტრაჟო ტრიბუნალს უფლება აქვს, ჰააგის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ინტერვენციის მეშვეობით, მოითხოვოს ინფორმაცია, როგორც ეს არის 1968 წლის 7 ივნისის ლონდონში დადებული უცხოური სამართალზე ინფორმაციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლში აღნიშნული. თავჯდომარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი მიიჩნევს მოთხოვნას უსაფუძვლოდ, თხოვნას დაუყოვნებლივ უგზავნის ამ კონვენციის მე-2 მუხლში მითითებულ სააგენტოს და ამის შესახებ აცხადებს საარბიტრაჟო ტრიბუნალს. 2. საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია, შეაჩეროს სამართალწარმოება იმ დღემდე, სანამ მიიღებს პასუხს ინფორმაციის თაობაზე საკუთარი მოთხოვნის შესახებ“.

³²დანიის საარბიტრაჟო აქტის 27-ე ნაწილის მე-2 პარაგრაფის მიხედვით: „თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ ევროპული კავშირის კანონმდებლობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია, რათა მას მიეცეს საშუალება გადაწყვიტოს საარბიტრაჟო დავა, საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია,

ეროვნული კანონმდებლობის მსგავსად, ამ საკითხს საარბიტრაჟო წესები არ ეხება. თუმცა, ზოგიერთი გამოწვევის წარმოდგენილია, მაგალითად, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) წესების 22-ე მუხლის 1-ელ (iii) ქვე-პუნქტში,³⁴ სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტის 27-ე მუხლის 1-ლ პუნქტში³⁵ და ICC-ის წესების 21-ე მუხლში.³⁶

ყოველ შემთხვევაში, კონკრეტული მითითებების ნაკლებობა შეიძლება, ჩანაცვლდეს მხარეთა აქტივობით. თუ, ერთი მხრივ, ძალზედ იშვიათია, რომ მხარეებმა ხელშეკრულებაში შეიტანეს ნებისმიერი ინსტრუქცია საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გამოსაყენებელი კანონმდებლობის შინაარსის განსაზღვრის განხორციელების შესახებ, მეორე მხრივ, შეიძლება მოხდეს ისე, რომ საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიონ, სავარაუდოდ, საარბიტრაჟო კოლეგიის დახმარებით და მასთან თანამშრომლობით.³⁷

თუმცა, ბევრად უფრო მოსალოდნელია, რომ არბიტრებმა გადაწყვიტონ, თუ როგორ დაადგინონ გამოსაყენებელი კანონმდებლობის შინაარსი რაიმე მითითების ან საკანონმდებლო და /ან მარეგულირებელი დახმარების გარეშე.

არბიტრებისათვის მინიჭებული ფართო თავისუფლება ხაზს უსვამს იმას, რომ კანონის გამოყენებისას ხარვეზი არ შეიძლება, ჩათვალოს საკმარის საფუძვლად, რომ ნიუ-იორკის კონვენციის თანახმად, მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობაზე ან

მოსთხოვოს სასამართლოს, რომ მან მოითხოვოს ევროპული კავშირის სასამართლოსაგან ამის შესახებ განჩინების გამოტანა“.

³³ინგლისის 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის 34-ე მუხლით [1-ლი პუნქტი], საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გადაწყვიტოს ყველა პროცედურული და მტკიცებითი საკითხი, რომ მხარეებს აქვთ უფლება შეთანხმდნენ ნებისმიერ საკითხზე. [პარ. 2] პროცედურულ და მტკიცებით საკითხებში შედის [(ზ) ქვე-პარ.] შეიძლება თუ არა და რამდენად დასაშვებია ტრიბუნალმა თავად აიღოს ინიციატივა ფაქტებისა და კანონის დასადგენად“.

³⁴LCIA-ის წესების 22-ე მუხლი: „[პარ. 1] საარბიტრაჟო სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, ნებისმიერი მხარის მოთხოვნით, ან საკუთარი ინიციატივით, მაგრამ ორივე შემთხვევაში მხოლოდ მხარეებისათვის მოსაზრებების დაფიქსირების გონივრული შესაძლებლობის მიცემის შემდეგ [...], გადაწყვიტოს [ქვე-პარ. (გ)], განხორციელოს ისეთი გამოკვლევები, რომლებიც საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ შეიძლება მიჩნეული იქნეს აუცილებლად ან მიზანშეწონილად, მათ შორის, შეუძლია თუ არა და რა ფარგლებში საარბიტრაჟო სასამართლოს, რომ, თავისი ინიციატივით, გამოარკვიოს რელევანტური საკითხები და ფაქტები და კანონი(ებ)ი ან სამართლის ნორმები, რომლებიც გამოსაყენებელია საარბიტრაჟო შეთანხმებისადმი, საარბიტრაჟო წარმოებისადმი და მხარეთა შორის დავის არსისადმი“.

³⁵სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტის 27-ე მუხლი: „საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გადაწყვიტოს საქმის არსებითი მხარე კანონ(ებ)ით ან მხარეთა შეთანხმებით დადგენილი წესებით. ამგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალი გამოიყენებს კანონს ან სამართლის ნორმას, რომელსაც ის ყველაზე შესაფერისად მიიჩნევს“.

³⁶ICC-ის წესების 21-ე მუხლის მიხედვით: „[პარ. 1] მხარეები თავისუფალნი არიან, შეთანხმდნენ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დავის არსებითად გადასაწყვეტად გამოსაყენებელი სამართლის ნორმები შესახებ. ამგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალი გამოიყენებს სამართლის ნორმას, რომელსაც შესაფერისად მიიჩნევს. [პარ. 2] საარბიტრაჟო ტრიბუნალი ითვალისწინებს მხარეებს შორის შეთანხმებული ხელშეკრულების დებულებებს მათი არსებობისას და ნებისმიერ რელევანტურ სავაჭრო ჩვეულებებს“.

³⁷*Kaufmann-Kohler, G.*, დასახ. ნაშრომი 22-ე სქ., ავტორი გვთავაზობს: „მხარეებმა უნდა დაადგინონ დავის არსისადმი გამოსაყენებელი სამართლის შინაარსი. საარბიტრაჟო ტრიბუნალს აქვს უფლებამოსილება, მაგრამ არა ვალდებულება, განხორციელოს საკუთარი კვლევა ასეთი შინაარსის დასადგენად. თუ ტრიბუნალი ამ უფლებამოსილებას გამოიყენებს, მაშინ მან უნდა მისცეს მხარეებს შესაძლებლობა, გააკეთონ კომენტარი ტრიბუნალის მიერ განხორციელებული მოკვლევის შედეგებზე. თუ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გამოსაყენებელი სამართლის შინაარსი ვერ დგინდება, საარბიტრაჟო ტრიბუნალს უფლება აქვს, გამოიყენოს ასეთი საკითხისადმი ნებისმიერი სამართლის ნორმა, რომელსაც იგი ჩათვლის სათანადოდ“. უფრო მეტიც, ყოველთვის შეიძლება, რომ მხარეებმა, გამოსაყენებელი სამართლის შინაარსის დადგენის გართულებისას, გადაწყვიტონ თავიანთი შეთანხმების გადახედვა.

აღსრულებაზე უარის თქმა.³⁸ აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება კითხვის ნიშნის ქვეშ ნაკლებად დადგება უბრალოდ იმ საფუძვლით, რომ საარბიტრაჟო კოლეგია შეცდა გამოსაყენებელი კანონის შინაარსის დასადგენად.

აქედან გამომდინარე, რომ შევეცადოთ პასუხის გაცემას კითხვაზე - განმხილველმა ორგანომ უნდა იცოდეს თუ არა კანონი (ან "*iura novit arbiter?*"), მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ არბიტრებს აქვთ უფლება და მოვალეობა, მოახდინონ გამოსაყენებელი კანონის შინაარსის დადგენა, უფრო მეტიც, როგორც ჩანს, მაგალითად, ეს დადასტურებულია იმავე დებულებებით სახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის თაობაზე (ანუ Rome I) რეგლამენტში 593/2008 (EC), თუმცა იმ საზღვრებში, რაც მითითებულია 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტში.

პროცედურის ლოგიკისა და საარბიტრაჟო სილოგიზმის სტრუქტურის გათვალისწინებით, გამორიცხულია, რომ კანონის შინაარსი გაუთანაბრდეს ფაქტობრივ საკითხს.³⁹

გარდა ამისა, უკანასკნელ ათწლეულებში ჩვენ მოწმენი გავხდით ძლიერი ჰარმონიზაციის ტალღისა სხვადასხვა ქვეყნებში, რომელიც შეიძლება აღიწეროს როგორც „საარბიტრაჟო გლობალიზაცია“.⁴⁰ იგი ვითარდება ნიუ-იორკის კონვენციით და მიჰყვება UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესებს, მოდელურ კანონს, მრავალი საარბიტრაჟო ინსტიტუტის წესდებებსა და სხვადასხვა შესაბამის ეროვნულ კანონებს.

დისციპლინების ამ დაახლოებამ დადასტურა, რომ ღირებული საშუალებაა სტანდარტული ან, უკეთესი, საერთაშორისო არბიტრაჟის პროცედურის გაჩენისათვის.⁴¹ ეს „გლობალიზაცია“ არ უნდა იყოს სიურპრიზი: საერთაშორისო არბიტრაჟი წარმოადგენს იმ ადგილს, სადაც აქტიორები განსხვავებული წარსულიდან ხვდებიან და მუშაობენ დავის გადაწყვეტის საერთო მიზნით.

ამ თვალსაზრისით, აუცილებელია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შემდგომი თავისებურებების გამოყოფა: საარბიტრაჟო კოლეგიებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ისინი საერთაშორისო დავებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ და ახდენენ კანონის ნორმათა ინტერპრეტაციას საერთაშორისო პრაქტიკის თვალთახედვიდან და, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიანიჭონ მხარეთა ნებას მაქსიმალური გავლენა. ზოგჯერ, არბიტრების თავისუფლება - და, შესაბამისად, საარბიტრაჟო მოქნილობა - კიდევ უფრო შორს მიდის. მართლაც, თუ მხარეები მიმართავენ საერთო საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკას, არბიტრებს შეუძლიათ ან უნდა გადაწყვიტონ ე.წ. *lex mercatoria*-თი მოცული წესების გამოყენება.⁴²

კიდევ ერთი ხაზგასასმელი ასპექტია, რომ „არბიტრებმა გამოსაყენებელი კანონმდებლობის შინაარსის დადგენის მცდელობისას უნდა გაითვალისწინონ, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ კანონის შინაარსის დადგენის წესები არ არის

³⁸The New York Arbitration Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, New York, 10 June 1958, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.newyorkconvention.org/>>. უკანასკნელად გადამოწმებულია 16.06.2018.

³⁹Carbone, S. M., *Iura novit curia e arbitrato commerciale internazionale*, Rivista di Diritto Internazionale Privato e Processuale, 2010, No. 2, 353.

⁴⁰Kaufmann-Kohler, G., *Globalization of Arbitral Procedure*, Vanderbilt Journal of Transnational Law, 2003, vol. 36.2, 1331.

⁴¹ამ საკითხზე უფრო კონკრეტულად იხ. Baum, A., *Reconciling Anglo-Saxon and Civil Law procedure: the Path to a Procedural lex arbitrationis*, Law of International Business and Dispute Settlement in the 21st Century, *Liber amicorum* Karl-Heinz Backstiegel, Köln, 2001, 21; Boris, C., *The Reconciliation of Conflicts Between Common Law and Civil Law Principles in the Arbitration Process*, Frommel, S. N., Rider, B. A. K., *Conflicting Legal Cultures in Commercial Arbitration*, The Hague, 1999, 1; Caldwell, S., *Arbitration Procedures: Harmonisation of Basic Notions: Differing Approaches*, Globalization and Harmonization of the Basic Notions in International Arbitration, IFCIAI Conference, Honk Kong International Arbitration Centre, 1996, 101.

⁴²*Lex mercatoria*-ს შესახებ იხ. Gaillard, E., *Thirty Years of lex mercatoria: Towards the Selective Application of Transnational rules*, ICSID Review – Foreign Investment Law Journal, October 1995, Vol. 10, issue 2, 208.

სავალდებულოდ შესაფერისი არბიტრაჟისთვის [...] კერძოდ, არბიტრები არ უნდა დაეყრდნონ გამოუხატავ პრეზუმპციებს⁴³.

მათ შორის, მაგალითად, თუ შეუძლებელი იყო გამოსაყენებელი კანონმდებლობის შინაარსის დადგენა, მაშინ არბიტრაჟზე შინაარსის *lex fori*-სთან იდენტურობის პრეზუმფცია არ გავრცელდება: და ეს ხდება იმ საკვანძო მიზეზის გამო, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟში არ არსებობს უცხოური სამართალი და არ არსებობს რეალური და ეფექტიანი იურისდიქცია, რომელიც გამორიცხავს ეროვნულ სამართლებრივ სისტემასთან ნებისმიერ შესაძლო კავშირს.⁴⁴

ასეთ შემთხვევებში, დევიზი *iura novit arbiter* საშუალებას აძლევს არბიტრებს გამოიყენონ *ex officio* პრინციპები და წესები, რომლებიც, როგორც წესი, *lex mercatoria*-ს წიაღში იბადება "selon une démarche caractéristique de la représentation de l'arbitrage admettant l'existence d'un ordre arbitral autonome".⁴⁵

V. გამოსაყენებელ სამართალსა და არბიტრების მიერ *motu proprio* გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს შორის ბალანსი

მიუხედავად იმისა, რომ გამოსაყენებელი კანონმდებლობის შინაარსის განსაზღვრისათვის არბიტრებს დიდი დისკრეცია აქვთ მინიჭებული, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფლებამოსილება შესაძლებელია, გაძლიერდეს ან შეიზღუდოს მხარეების ნათელი და ზუსტი შეთანხმებით.

თუმცა, როგორც საერთაშორისო სამართლის ასოციაციის კონფერენციის⁴⁶ მსვლელობისას უკვე ზემოთ აღინიშნა, მხარეები ნაკლებად მიდრეკილნი არიან შეთანხმებით მოიცვან ზუსტი რეკომენდაციები და ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაადგინოს საარბიტრაჟო კოლეგიამ კონკრეტულად დავისადმი გამოსაყენებელი წესების და/ან დისციპლინის შინაარსი.⁴⁷

მართლაც, ბიზნესმენების ინტერესი, როგორც წესი, უფრო მკაცრად ეკონომიკურ შინაარსზეა ორიენტირებული, მაგალითად, როგორცაა ფასი, რაოდენობა, ხარისხი და საქონლის მიწოდება, ვიდრე იურიდიულ ელემენტებზე.⁴⁸

მიუხედავად ამისა, მხარეთა მიერ (ზუსტად) განხორციელებული *electio iuris*-ის შემთხვევაშიც კი, *iura novit arbiter* პრინციპის მოქმედება ვერ ჩაითვლება სრულად შეზღუდვებისაგან თავისუფლად.

მართლაც, არბიტრთა ფართო დისკრეცია უნდა დაბალანსდეს ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის ზოგად პრინციპით ისევე, როგორც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოულოდნელობების შეზღუდვა.

ქენევის კონვენციის მე-9.1 მუხლის (ბ) ქვეპუნქტი⁴⁹ უზრუნველყოფს მხარეებისათვის შესაძლებლობას თავიანთი პოზიცია (ანუ დაასაბუთონ თავიანთი არგუმენტებით)

⁴³Recommendation No. 4, Resolution No. 6/2008, Conference of the International Law Association in Rio de Janeiro, 2008, იხ. მე-14 სქ.

⁴⁴ Carbone, S. M., დასახ. ნაშრომი, 38-ე სქ.

⁴⁵*Ex pluribus, Lew, J. D. M.*, Achieving the dream: Autonomous Arbitration, Arbitration International, 2006, 179.

⁴⁶*De Ly, F., Friedman, M. W., Di Brozolo, L. G. R.*, დასახ. ნაშრომი მე-14 სქ.

⁴⁷ Carbone, S. M., დასახ. ნაშრომი, 38-ე სქ., 360.

⁴⁸ Borroni, A., დასახ. ნაშრომი, მე-20 სქ.

⁴⁹ ქენევის კონვენციის მე-9.1 მუხლის (ბ) ქვეპუნქტი: „[...] განხილვის გადადებაზე შუამდგომლობის დააყენებენ მხარეს [...] სხვაგვარად არ შეეძლო თავისი პოზიციის წარდგენა“; მსგავსია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-18 მუხლი: „მხარეებს თანასწორად უნდა მოეპყრან და თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს თავისი პოზიციის წარმოდგენის სრული შესაძლებლობა“; ასევე ICC-ის წესების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი: „ნებისმიერ შემთხვევაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა იმოქმედოს სამართლიანად და მიუკერძოებლად და უზრუნველყოს, რომ თითოეულ მხარეს ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი პოზიცია“.

წარადგინონ საარბიტრაჟო განხილვისას: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საარბიტრაჟო კოლეგიამ არ უნდა გააოცოს მხარე (ან მხარეებს) *ex officio* იმ დებულების გამოყენებით, რომელიც მხარეებს არ უხსენებიათ, ან, საერთოდ, არაპროგნოზირებადი და გაუთვალისწინებელი იყო მათთვის.

აქედან გამომდინარე, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ დავა უნდა გადაწყდეს სამართლებრივი დასკვნებისა ან/და წესების გამოყენებით, რომლებიც განსხვავდება მხარეების მიერ მითითებულისაგან, მაშინ მან უნდა აცნობოს ეს მხარეებს, რათა თავიდან აცილებულ იქნას მოულოდნელობა მათთვის.⁵⁰

ასეთი სიტუაციები შეიძლება წარმოიშვას, მაგალითად, თუ არბიტრები მიიჩნევენ, რომ დავა არ უნდა გადაწყდეს ხელშეკრულების დებულებების ან მხარეთა მიერ არჩეული სამართლის შესაბამისად, არამედ სრულიად განსხვავებული წესების ერთობლიობის საფუძველზე: ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის (due process) პრინციპი მოითხოვს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა აცნობოს [ამის შესახებ] მხარეებს და მისცეს მათ სრული შესაძლებლობა წარმოადგინონ თავიანთი დასაბუთება.

ანალოგიურად, შეიძლება, რომ საერთაშორისო არბიტრაჟის ფარგლებში *iura novit curia*-ს თავისებურების გამო, არბიტრებმა *lex mercatoria* მიიჩნიონ გამოსაყენებელ სამართლად, თუნდაც ეს არ იყოს პირდაპირ არც ნახსენები, არც არჩეული მხარეების მხრიდან: კვლავ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა შეატყობინოს მხარეებს, რათა მათ მიეცეთ საშუალება თავიანთი დასაბუთება წარმოადგინონ ამ უკიდურესად დელიკატურ საკითხზე.

VI. ინფორმირების მოვალეობა თუ დისკრეცია: მოკლე შედარებითი ანალიზი

მიუხედავ ყველაფრისა, საარბიტრაჟო სასამართლოები ყოველთვის არ ემორჩილებიან „ინფორმირების მოვალეობას“ და მისი შედეგები შეიძლება, განსხვავებული იყოს სხვადასხვა იურისდიქციებში და ეს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კანონმდებლობებს ისევე, როგორც საარბიტრაჟო წესებს შორის ჰარმონიზაციის მიუღწევლობის გამოა.

2016 წელს პარიზის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ICC-ის (2014 წლის 29 აგვისტოს) გადაწყვეტილება საქმეზე Republic of Madagascar v. De Sutter P. et al, რადგან საარბიტრაჟო ტრიბუნალმა თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა სამართლებრივ დასკვნებს, რომელიც არ იყო წარმოდგენილი მხარეების მიერ და მათ არ მიეცათ შესაძლებლობა, წარმოედგინათ თავიანთი შეხედულებები.⁵¹

ამ გადაწყვეტილებას არ გადაუხვევია საფრანგეთის სასამართლოების მიერ მანამდე მიღებული სხვა გადაწყვეტილებებისგან, რომლებიც, ფაქტობრივად, კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ *iura novit arbiter*-ის პრინციპის შეზღუდვასა და ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის ინტენსიურად დაცვაში: პარიზის სააპელაციო სასამართლომ საქმეში Gouvernement de la République Arabe d'Égypte et al. v. Malicorp Ltd.⁵² და საფრანგეთის უზენაესმა სასამართლომ საქმეში Overseas Mining Investment Ltd. v. Commercial Caribbean Niquel, მაქსიმალურად მხარი დაუჭირა შეჯიბრებითობის პრინციპის მაშინაც კი, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ *motu proprio* წამოჭრილი სამართლებრივი საკითხები არ იყო რეალურად განუჭვრეტელი, რადგან "si les arbitres n'ont effectivement pas l'obligation de

⁵⁰ Tunik, D. E., Default Proceedings in International Commercial Arbitration, International Arbitration Law Review, vol. I, issue 2, 1998, 90.

⁵¹Cour d'Appel de Paris, Pôle 1 – Chambre 1, Arrêt du 15 mars 2016, R.G. No. 14/19164, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw7208.pdf>>. უკანასკნელად გადამოწმდა: 16.06.2018.

⁵²Cour d'Appel de Paris, Arrêt du 19 juin 2008, R.G. No. 06/17901 ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.legifrance.gouv.fr/affichJuriJudi.do?idTexte=JURITEXT000019225667>>. უკანასკნელად გადამოწმდა: 16.06.2018.

soumettre au préalable leur motivation à une discussion contradictoire, ils doivent cependant respecter le principe de la contradiction".⁵³

შვეიცარიაში, ფედერალურმა სასამართლომ არაერთხელ უარყო საჩივრები, იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე წარდგენილი, რომლებიც გამოტანილ იქნა სამართლებრივი საკითხების შესახებ სრული დისკუსიის არარსებობის პირობებში, მრავალთა შორის, Tvornica-ს ცნობილი საქმეში: „შვეიცარიაში უფლება, მოისმინონ შენი პოზიცია, ეხება განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებს. მხარეთა უფლება, გამოხატონ პოზიციები სამართლებრივ საკითხებზე, აღიარებულია მხოლოდ შეზღუდული მასშტაბით. ზოგადად, *iura novit curia*-ს პრინციპის მიხედვით, სახელმწიფო ან საარბიტრაჟო ტრიბუნალები თავისუფალია ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი რელევანტურობის შეფასებაში და მათ შეუძლიათ, მიიღონ გადაწყვეტილებები მხარეთა მიერ წარმოდგენილ განსხვავებულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით“.⁵⁴

ეს პოზიცია გაზიარებულია იტალიელი კანონმდებლის მიერაც: იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 112-ე და 113-ე მუხლების შესაბამისად, "nel pronunciare sulla causa, il giudice deve seguire le norme del diritto". დებულება ზოგადად ეხება ყველა „სამართალს“ და არა მხოლოდ იმ წესებს, რაზეც მხარეებმა მიუთითეს.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ (ეროვნულმა თუ საარბიტრაჟომ) შეიძლება გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი „სამართლის ნაწილი“ ისევე, როგორც მხარეთა ინიციატივისაგან დამოუკიდებლად შეუფარდოს [შემადგენლობას] *nomen iuris*.⁵⁵

იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის⁵⁶ თანახმად, რომელიც, რა თქმა უნდა, 183-ე მუხლის მეოთხე პუნქტთან⁵⁷ ერთად უნდა იქნეს გამოყენებული, რათა თავიდან იქნას აცილებული ე.წ. *sentenze della terza via*, თუ გადამწყვეტი საკითხი იქნა წამოჭრილი *ex officio*, სასამართლო ახლა იძულებულია, მოიწვიოს მხარეები მათი მოსაზრებების წარმოსადგენად.

ტრადიციულ მიდგომაში იტალიის უზენაეს სასამართლოს მხოლოდ ნაწილობრივ შეაქვს ნოვაციები და იგი საკმაოდ მყარად დგას აზრზე, რომ მოსამართლემ მხარი უნდა დაუჭიროს მხარეებს შორის შეჯიბრობითობის საფუძველზე წარმართულ პროცესს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკითხი (წამოჭრილი *ex officio*) ეხება ფაქტობრივ დასკვნებს ან შერეულ - ფაქტობრივ და სამართლებრივ - დასკვნებს.⁵⁸

ეს მიდგომა, რა თქმა უნდა, გამოსაყენებელია არბიტრაჟის მიმართაც: იტალიაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 822-ე მუხლის თანახმად, არბიტრი ასევე „წყვეტს [საკითხს] სამართლის ნორმის მიხედვით“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეებმა არბიტრი აირჩიეს როგორც მომრიგებელი შუამავალი (*amiable compositeur*).

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში, თუ არბიტრი დავის დასარეგულირებლად იყენებს, როგორც მან ეს უნდა გააკეთოს, მხარეთა

⁵³Cour de Cassation, I chambre civile, Arrêt No. 785 du 29 juin 2011, R.G. No. 10/23321, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.courdecassation.fr/jurisprudence_2/premiere_chambre_civile_568/785_29_20477.html>. უკანასკნელად გადამოწმდა: 16.06.2018.

⁵⁴ციტირებულია *Geradin, D. – Villano, E. P., Iura Novit Curia Stealing the Limelight (Again)*, Kluwer Arbitration Blog, 22 April 2016, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2016/04/22/iura-novit-curia-stealing-the-limelight-again/>>. უკანასკნელად გადამოწმდა: 16.06.2018.

⁵⁵ იბილეთ, Cassazione Civile, Sez. II, judgment No. 17075 of 24.08.2015, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.eclegal.it/iura-novit-curia-non-contestazione-in-appello-contraddittorio/>>. უკანასკნელად გადამოწმდა: 16.06.2018.

⁵⁶იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 პუნქტი: “Se ritiene di porre a fondamento della decisione una questione rilevata d'ufficio, il giudice riserva la decisione, assegnando alle parti, a pena di nullità, un termine, non inferiore a venti e non superiore a quaranta giorni dalla comunicazione, per il deposito in cancelleria di memorie contenenti osservazioni sulla medesima questione”. ეს პუნქტი დამატებულ იქნა 2009 წლის 18 ივნისის № 69 კანონით.

⁵⁷ იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლის მე-4 პუნქტი: “Nell'udienza di trattazione ovvero in quella eventualmente fissata ai sensi del terzo comma, il giudice richiede alle parti, sulla base dei fatti allegati, i chiarimenti necessari e indica le questioni rilevabili d'ufficio delle quali ritiene opportuna la trattazione”.

⁵⁸ იხ. *ex multis* Cassazione civile no. 2984/2016, conf. No. 8936/2013, ციტირებული Codice di Procedura Civile Studium, a cura di *Luigi Tramontano*, La Tribuna, 2018.

მითითებულის გარდა, რაიმე სხვა კანონმდებლობას, ამ საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ გაუქმდება.⁵⁹

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს შვეიცარიის ფედერალური ტრიბუნალის *dictum*, რომელმაც, თავდაპირველად, გააუქმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მიუხედავად გამონათქვამისა *iura novit curia*.⁶⁰

ამ შემთხვევაში ფედერალურმა ტრიბუნალმა, მართლაც, მოუძებნა არბიტრებს ხარვეზი, რადგან ისინი დაეყრდნენ სახელშეკრულებო დებულებას, რომელზეც მხარეები არ უთითებდნენ. ამრიგად, ეს ნამდვილად არ არის მატერიალური სამართლის საკითხი, მაგრამ კანონის გამოყენება ხდება მხარეებისადმი შესაძლებლობის მიცემის გარეშე, რომ თავიანთი წარდგინება გააკეთონ ამ მატერიალურ სამართალზე.⁶¹

საბოლოო ჯამში, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის სფეროში არ არსებობს საერთო, ყველა შემთხვევისადმი მისასადაგებელი გადაწყვეტა *iura novit arbiter*-ის პრინციპთან დაკავშირებით. საარბიტრაჟო ტრიბუნალები ფრთხილად უნდა იყვნენ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების დაბალანსებისას, რათა უზრუნველყონ ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა და გამოიტანონ აღსრულებადი გადაწყვეტილება.

ამ მიზნების მისაღწევად, საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკა, როგორც ჩანს, არბიტრაჟებს სთავაზობს, რომ არ დააფუძნონ თავიანთი გადაწყვეტილებები სამართლებრივ არგუმენტებზე, რომლებიც სრულიად განუჭვრეტელი და გაუთვალისწინებელია მხარეებისათვის.

კიდევ ერთხელ, ILA-ს რეკომენდაციები შეიძლება, სასარგებლო იყოს, რადგან ისინი მხარს უჭერს საარბიტრაჟო კოლეგიის პრო-აქტიურ დამოკიდებულებას, რომელმაც უნდა წახალისოს მხარეთა შორის დისკუსია, ყველაფერთან ერთად, *ex officio* დაყენებული სამართლებრივი საკითხების შესახებ, მათთვის განცხადებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობის მიცემით.⁶²

